პასუხები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებულ შენიშვნებზე

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი (შემოვიდა 14 ნოემბერს), ხოლო მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი, თანდართული ფორმებით (16 ნოემბერი). აღნიშნული არ არის შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობასთან და შესაბამის ნორმატიულ აქტებთან;

- 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი განსახილველად წარმოდგენილი იქნა საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებულ ვადაში. ტექნიკური ხარვეზის გამო ვერ მოხერხდა პრიორიტეტების დოკუმენტის პროგრამული მიბმა, რის გამოც აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილი იქნა მიმდინარე წლის 16 ნოემბერს.

2.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შემოტანილი მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობები არარეალურია (მაგ.მე-6 მუხლი - სხვა შემოსავლები ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილია 4526.0 ათასი ლარი. ანალიზის მიხედვით ირკვევა, რომ გასულ წლებში ამ მუხლით ბიუჯეტში არ შემოსულა 2.000 ათას ლარზე მეტი და სხვ), აქედან გამომდინარე, დასაზუსტებელია საბიუჯეტო ასიგნებები;

- 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში შეტანილ იქნა ცვლილება და სხვა შემოსავლების მუხლი განისაზღვრა 3 582.4 ათასი ლარით. რეალური საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2 000.0 ათას ლარს. არსებული სხვაობა ფინანსთა სამინისტროსთან მიღწეული შეთანხმებით დაბალანსდება სპეციალური ტრანსფერით.

3. ბიუჯეტის პროექტში შემოსული მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

-წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა საჭიროებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას;

-ერთი პრიორიტეტიდან სხვა პრიორიტეტზე საბიუჯეტო ასიგნებების გადანაწილება, შეიძლება მხოლოდ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით;

-ერთი პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს ამ პრიორიტეტისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახადების 5%-ს და ამ თანხების გადანაწილება მოხდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N13 დადგენილების „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე;

- აღნიშნული გათვალისწინებული იქნება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის კორექტირებულ ვარიანტში.

4.ბიუჯეტის მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახადების დაფინანსების მიზნით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სარეზერვო ფონდი განისაზღვროს 150,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 დეკემბრის N9 დადგენილების „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მერის მიერ;

- აღნიშნული გათვალისწინებულია 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის კორექტირებულ ვარიანტში.

5.მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნას:

- ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენების ქსელის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საბიუჯეტო ასიგნებები;

- აღნიშნული საკითხი განხილვის სტადიაშია

- სასაფლაოების მოვლა-პატრონობის შენახვის ხარჯები;

- აღნიშნულს განახორცციელებს ა(ა)იპ „ჩოხატაურის სერვის ჯგუფი“

- ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებისთვის საბიუჯეტო ასიგნებები 100 000 ლარის ოდენობით.

- ამ ეტაპისთვის ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებისთვის გათვალისწინებულია 50.0 ათასი ლარი.

6. დაბაში ფაქტიურად არ არსებობს კანალიზაციის სისტემა. 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას საკანალიზაციო სისტემის პროექტისათვის, საჭირო თანხის გამოყოფა.

- აღნიშნულის განხორციელება ადგილობრივი ბიუჯეტით ვერ მოხერხდება.

7. ქუჩაში მოხეტიალე უპატრონო ძაღლები, საშიშროებას უქმნის მოსახელობას გადაადგილების დროს, შესაბამისი ღონისძიებების გატარების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იქნას თანხების გამოყოფა 2024 წლის ბიუჯეტში.

- აღნიშნული საკითხი განხილვის სტადიაშია

8. ა(ა).ი.პ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების - სამხატვრო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საწარმოებლად 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას თანხების გამოყოფა.

- **- აღნიშნულის განხორციელება ადგილობრივი ბიუჯეტით ვერ მოხერხდება.**

9. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების (05 05 02) თანხა გაიზარდოს 30 000 ლარამდე, აქედან 10 000 ლარი განისაზღვროს შშმ პირთა დედების მიერ წარმოდგენილი მცირე პროექტების დასაფინანსებლად. 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 5 000 ლარი, მაგრამ პროგრამის საჭიროებიდან და ბენეფიციართა რაოდენობიდან გამომდინარე საჭირო გახდა ბიუჯეტში ცვლილება და ხარჯი შეადგენდა 9 000 ლარზე მეტს. შესაბამისად საჭიროა ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდოს 10 000 ლარამდე.

- აღნიშნული გათვალისწინებულია 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის კორექტირებულ ვარიანტში.

10. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდამჭერი კონკურსის ჩასატარებლად 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნას 20 000 ლარი. კონკურსის აქტუალობიდან გამომდინარე და წარმოდგენილი ხარისხიანი პროექტებიდან გამომდინარე, რომელთა დაფინანსებაც ვერ მოხერხდა მცირე ბიუჯეტის გამო, დადგა საჭიროება, რომ კონკურსის ბიუჯეტი 2024 წელს გაიზარდოს 20 000 ლარამდე, მეწარმე ქალთა მხარდაჭერის გაძლიერების მიზნით.

- აღნიშნული გათვალისწინებულია 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის კორექტირებულ ვარიანტში.

11. 05 00 პროგრამული კოდის დასახელებაში ტექნიკური უზუსტობაა ყველგან დასათაურება უნდა იყოს ამ ფორმით: „კულტურა, რელიგია, გენდერული თანსაწორობა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები.

- აღნიშნული გათვალისწინებულია 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის კორექტირებულ ვარიანტში.

12. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნას სოფლის მეურნეობის განხრით მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის დაფინანსებისთვის 20 000 (ოცი ათასი) ლარი.

- აღნიშნული გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯებში

13. სულიკო ჟღენტის სახელობის კინოს სახლის ახალგაზრდულ ცენტრად ადაპტირება იმის გამო,რომ 2023 წელს მუნიციპალიტეტის მიერ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდისთვის გამოცხადებული ტენდერი ორჯერ ჩაიშალა, ვერ მოხერხდა დოკუმენტაციის შესყიდვა. 2024 წლის ბიუჯეტში, გთხოვთ გაითვალისწინოთ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტში შესყიდვის თანხა.

- აღნიშნული გავალისწინებულია 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის 02 05 პროგრამაში

14. ცენტრალურ ბიბლიოთეკას პრემიერ მინისტრის პროგრამის ,,განახლებული რეგიონები“ ფარგლებში ჩაუტარდა ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია, მაგრამ შიდა სივრცე ითხოვს სასწრაფოდ რეაბილიტაციას. გთხოვთ, გაითვალისწინოთ საპროექტო დოკუმენტაციის თანხა, რათა 2024 წელს მოხდეს ბიბლიოთეკის სრული რეაბილიტაცია.

- აღნიშნული გავალისწინებულია 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის 02 05 პროგრამაში

15. პრემიერ მინისტრის პროგრამის ,,განახლებული რეგიონები“ ფარგლებში მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ცენტრის განახლება- რეაბილიტაცია, მაგრამ დუმბაძის ქუჩაზე ჯერჯერობით არ არის განთავსებული საქუჩო ურნები. გთხოვთ, გაითვალისწინოთ 2024 წლის ბიუჯეტში შესაბამისი ფინანსები, რათა მოხდეს შესყიდვა და მონტაჟი ორიგინალური საქუჩო ურნების.

- აღნიშნული საკითხი განხილვის სტადიაშია

16. საკრებულოს და მერიაში შემოსულია ომის ვეტერანთა თხოვნა წერილი, ისინი ითხოვენ 9 აპრილის პარკში გმირების მემორიალური დაფის განთავსებას, არსებობს ხარჯთაღრიცხვა გთხოვთ, გაითვალისწინოთ 2024 წლის ბიუჯეტში სამუშაობის ჩასატარებლად აუცილებელი თანხები.

-აღნიშნული გათვალისწინებული იქნება 2024 წელ ბიუჯეტის დაზუსტების დროს.

17. მუნიციპალიტეტის ცენტრში მიმდინარეობს პრემიერ მინისტრის პროგრამის ,,განახლებული რეგიონები“ ფარგლებში უპრეცედენტო გამწვანების სამუშაოები, მაგრამ უმეთვალყურეოდ მოხეტიალე მხვილფეხა და წრილფეხა პირუტყვი საფრთხეს უქმნის მწვანე ნარგავებს 2024 წლის ბიუჯეტში გთხოვთ გაითვალისწინოთ საჭირო თანხები პრობლემის მოგვარებისათვის.

- აღნიშნული საკითხი განხილვის სტადიაშია

18. მუნიციპალიტეტის ცენტრის ტერიტორიაზე არის წყლის ინდივიდუალური სოკოები, რომლებიც დაზიანებულია და მთელი დღის განმავლობაში იღვრება წყალი. იხარჯება წყლის რესურსი და მუნიციპალიტეტს უწევს მაღალი გადასახადის გადახდა, გთხოვთ გაითვალისწინოთ 2024 წლის ბიუჯეტში აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

- აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს განხილვა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან.

19. მუხლი 02 04 02 საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია - 100 000 ლარი საჭიროებს დაკონკრეტებას რა სამუშაოები იგეგმება.

- აღნიშნული თანხიდან 20.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია მერიის ადმინისტრაციულ შენობაში სველი წერტილების რეაბილიტაციისთვის. 80.0 ათასი ლარი მოხმარდება ადმინისტრაციულ ერთეულებში ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაციას.

20. ბიუჯეტის პროექტის მუხლში 0300 არაფინანსური აქტივობების ზრდა გათვალისწინებულია 270 000 ლარით. განხილვის პროცესში საჭიროებს დაკონკრეტებას.

- აღნიშნული მუხლი განისაზღვრა 250.0 ათასი ლარით და გათვალისწინებულია მძიმე ტექნიკის (ტრაქტორი) შესაძენად.

21. მუხლი 0300 -შრომის ანაზღაურება. კლება 2023 წელთან შედარებით ასევე საჭიროებს განმარტებას.

- აღნიშნული გამოწვეული იყო მექანიკური შეცდომით, რომელიც გასწორებულია 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის კორექტირებულ ვარიანტში.